

მკობრეობა



1936წ

№3



„თავბრუნება“

საქ. პ. ლ. კ. კ. ცეცხლს და საქ. განსახორციელების ერთობის ორგანიზაციის მდივანის ორგანიზაცია

№ 3

მ ა რ ტ ი 1936 წ.

წელიწადი 30-10

საქ. პ. კ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტური რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. №-3-02-61

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ანკეტის შევსება (ლექსი) — ირ. აბაშიძისა	1
2. მონადირე მელია — ბორის ჩხეიძისა	2
3. ნორჩ თაობას (ლექსი) — სანდრო ეულისა	5
4. სტუმრობა — ირ. ევდოშვილისა	6
5. ვანოს ნატერა (ლექსი) — სანდრო შანშიაშვილისა	10
6. თინას დღე (ლექსი) — იასაშანიასა	10
7. პარილის აკვანში — როდიონ ქორქიასი	11
8. ძველი ამბავი — ეკ. გაბაშვილისა	15
9. ბუნგლიას ერთგულება — დავ. შამათავასი	18
10. ავთანდილ ბრძენი — ნიკ. ლორთქიფანიძისა	20
11. პატარა მუსიკოსი — თარგმნილი გერმანულიდან ან. აფაქიძის მიერ	23
12. თევზი-ბურთი — შ. თაბუკაშვილისა	24
13. შეიძლება თუ არა ჯინჯრიდან ტანისამოსის შეკერვა — შ. თ.	24
14. სიკრულის მსხვერპლი (იგავი) — გ. ლომთათიძისა	ყდის მე-3-გვ.
15. გასართობი	ყდის მე-4-გვ.

ქურნალი გაფორმებულია მხატ. ი. ქოქიაშვილის და დ. ნაცვლი-შვილის მიერ.

პ/მგ. რედაქტორი ბაბო ხაზინაშვილი პ/მგ. მდივანი ლ. ხიზინაძე

დაეხმარა გური (ძინც იუენენ მოკეთები):

ინგარი,
თებერვალი...
დაუთავლა თვეები.
თინანს სულ არ მოეწონა
სახელები იმათი;
— იქნებ მარტში დაიბადა,
კანისენე, თინათინ!
მარტში?

დუღას ხასიათი
მუდამ კარგი ბქეს და ჰქონდა
— მარტში? აბა ჩემი დედა
მარტში დაიბადებოდა?!
ჰო, დანსწერე! მართლა, მართლა,
მომავონდა ასლა ძინც:
ჩემი დედა დაიბადა
ცხრანას ცხრა წლის ჰირველ ძინცს!

ი. რ. აბაშიძე



მონღირუ მერია

(ვუძღვნი ჩემს პატარა მეგობრებს ლეილა და ვალოდია-წითლანაძეებს)

I

ზაფხულში მელია თავს მზარეულზე უკეთ გრძნობდა: თვითონაც უხვად ჭამდა და შეიღობისათვისაც ბლომად მიჰქონდა სოროში ნანადირევი.

ყოველ ბურღში და ბუჩქში ჰინკრაქის, შაშვისა და ბელურის ბუღეს პოულობდა.

თბილი წვიმის შემდეგ, ტყესა და მინდორში გემრიელი სოკო იშოვებოდა. ერთხელ თითო გოჭს მოასწრო და გაგვდა, მგორვეჯერ, მდინარეზე, წისქვილის სათავეში, იხვისა და ბატის ჭუჭულებს გაავლო მუსრი.

სოფელს ახლოსაც არ ეკარებოდა, ხიფათს ერიდებოდა.

არაფრად ებიტნაებოდა ძაღლების, ყვეფა და შონადირის თოფის გრიალი.

თავისუფლად დაძვრებოდა ტყესა და მინდორში. შეიღები დაზარდა. აგვისტოში მწყურებსა და ბარტყებზე ნადირობაში დაგემა და გიო მძინარაშვილის მწიფე ყურძენშიდაც მიიპატივა.

როცა შეამჩნია ახლა ჩემი შეიღები თავის თავს თვითონ მოუვლიანო, შუალამისის სოროს მახლობლად მიატოვა ისინი და შორს გადაიკარგა.

II

ზამთარმაც იღარ დააყოვნა. ქვენა ქარი ამოვარდა. ქვენახშირის ბოლოვით შავი და სქელი ღრუბლები ამოცრა ლურჯ ცას. ჯერ წვიმით იჯერა გული, მერე ისეთი თოვა და ნამქერი დაახვია, რომ მკლია ყოველ წამს ისინჯავდა თავის გერმასავით რბილსა და თბილ ჭურჭს:

— აცა, სიცოვემ არ გაატანოს და არ გამყინოსო.

გაქირვების დღე დაუდგა მეოთხის. მინდორსა და ტყეში ჩიტისა და ჰინკრაქის ერთი ფრთაც იღარ ინძრეოდა.

ჩხიკვები ხის კენწეროებზე ისხდენ და აბეზარად ჩხაოდენ. ჩხართეები ფითრს შესევოდენ ბაღეში და შაშვებსაც თავი ხურმისა, კურკანტელისა და სუროსათვის შეეფარებიათ.

ტყეში, უშიშარ ადგილებში, მხოლოდ ორბები და ძეგები დარჩენილიყვნენ. ისინიც ხის წვეროებიდან ზეცაში მალა მიტრინავდნენ და ფარფატებდნენ. იმათი მელის კიდევაც ეშინოდა: შწარე გამოცდილება ჰქონდა. ერთხელ ახალგაზრდა ორბმა კლანჭი კინალამ კისერში გაუყარა და ნისკარტი თვალში ჩასცხო.



გადაწყვიტა მელიამ სოფელს სწევოდა. სხვაგზა იღარ იყო. თოვლი ჩქარა გაყინა. უშთავროს ლამეებიც დაიჭირა. მელია შჭერიდან გამოტყა და სოფლისაკენ გაიხანძრა. ძაღლების ყველა გულს უკუმშავდა. მონადირის ვახსენება მუხლებში ძღღონეს ართმევდა და შიშით თოვლს ეკვროდა, თანაც კუდს მარდად იქნევდა და მტრისათვის თვალის ასახეივად კვალს შლიდა მოყინულ თოვლზე წყარულ ფიფქზე. ამ ყოფით მიატანა მალალ ტყეს სოფლის ნაპირად ტყეშიც კარგახანს ისუნსულა, მაგრამ სახეეროს ეტრაფერს წააწყდა. უეცრად დროუნი ცივ ეკლებს წაქარა.

ღლები იღვა. მელიამ თვლა სამამლის იცოდა და ამიტომაც სახლები უთვალავად მოეჩვენა.

მამლებმა ყვილი კარგად გათენებამდის განაგრძეს. მშის ამოსვლისას მავთულის ღობის ჰიშკარი გაიღო და შიგ საქათმეებს შორის ტომრებმოკიდებული ქალები დატრიალდნენ. ქალები ხმაპალა იცინოდნენ და ხუმრობდნენ.

საქათმეებს დაუარეს და კარები დაიდეს. ზივილ-ყვილით ჩფრთქილავს ქათმების გუნდებმა და გამოეფინნენ მოტყეპნილ თოვლზე.

წიფლმა, კაკანმა და მამლების ყვილიმა აიკლო იქაურობა. ქალებმა ტომრებს თავი მოხსნეს და სიმინდი და ქერი გადაუყარეს მოყინულ თოვლზე. ქათმები მიხსიენ საყენს.

სვეებმა კვერცხებით სავსე კალათები გამოიტანეს და იქვე ჰიშკართან დადგეს.

— ახ! ერთი გამატარა თქვენში თავისუფლიად და მაშინ განაბებთ სეირს!

ამბობდა მელია და გულში თავის რბილსა და შეციენულ თათს იბავუნებდა.

სკადა კიდევაც გამოსვლა საფარიდან და გადაბტომა, მაგრამ ამ დროს შენიშნა მხარზე თოფგადაკიდებული გიომინარაშვილი და შემებარი წარბაც, რომელიც პატაროს ყეხებში ეტლანდებოდა და სიძავლად წყმუტუნებდა.

ჩქარა გაიხსენს ქათმებმა გაუმადარი ჩინახევი. კარგ გუნებაზე დადგენ, ნელა კაკანობდნენ, მამლები რაინდებივით ყელმოღერებულნი დინჯად დალიოდნენ დედლების გუნდებში და წითელი ბიბილოების პარტყუნით თავს დასტრიოლებდნენ.

ყველაზე უფრო მელია იმან გააცვირვა, რომ

თვალები ელექტროფარანივით მიანათა და დაინხა, რომ ეს ეკლები გამბული იყო თანასწორ სიშორებზე ჩარგულ შვე ბოძებზე.

— ხაუნგია!

იფიქრა მელამ და უჟან დაიხია. მოშორებით გაჟყვა, მაგრამ ეს „ხაუნგი“ ისე გრძობად იყო გამბული, რომ შუალამედის ძლივს შემოაუარა.

ხად ნებს შიგნივ კი მოჩანდა პატარა-პატარაფანჯრანი სახლები. სუნით მიხვდა, რომ ეს საქათმეები იყო.

ჩქარა მამლებმა ყვილი შორათეს და ქათმებიც აკაენდნენ.

— სწორედ ჩემი საქმეა.

თქვა მელიამ და თავის კვალს გაჟყვა. დაბანი კვლი და მავთულის ღობესთან ერთი მოხერხებული ბუჩქის ძირი იბოვა. ისკუბა, ვადახტა და შიგ ჩაიმალა. შერე ბუჩქიდან თავი ამოყო და ზეურვის შეუდგა.

ისეთი ამბები ნახა, რაც შვიდი წლის საკმაოდ მოხუც მელიას, შრავალი შვილისშვილის, ნათესაობის და ბევრის მომსწრეს, ჯერ არ ენახა და არც სხვისგან გაეგონა.

III

მავთულის ღობით შემორაგულ ტყეში პატარა და კოხტად შეღობილი ფანჯრებიანი სახ-

ქათმები ერთთავად თეთრები იყვნენ. ნიშნულად არ ერთი შეიქმნა, წითელი ან სხვა ფერი. ქალებმა ვიო მინარაშვილის ხელმძღვანელობით საქათმეები დაიწყეს და ნაკელი მავთულის ღობის იქით გადასურეს.

ერთმა ქალმა, რომელიც ყოველ ნიჩბის მოსამსუხე იცინოდა, ნიჩბი ისე ძლიერ მოიჭნია, რომ სველი ნაკელი მელის თავზე გადააყარა და თაველზე გაქმენდილი და გასუფთავებული ქურქი დაუსვარა.

მელის გული მოუვიდა და თავისთვის ჩაიბურტყუნა:

— საცინადაც მიგდებთ, განა? მაკალეთ, გიჩვენებთ თქვენ სერის!

IV

ამ ყოფით დაალაბა მელიამ მშვიტ-მწყურვალში. ბუნავიდანაც კი ვერ გაბედა ამოძრომა: ეწინოდა თოფიანი გიოსი და წარბა შეძებრის, რომელიც საქათმეს გარს უბრუნდა დილიდან საღამომდის და წყმუტუნებდა.



ქათმის ნაკელის სუნი თან იწუხებდა და თანაც ნერწყუცა ჰგვრიდა.

შუადღისსა და საღამოთი ქალებმა ქათმებს კიდევ აქამეს, დაუგავნენ საქათმეები და კერცხებით კიდევ აავსეს კალააები.

საღამოს ქალებმა და გიომ თავი მოიყარეს შემოღობილის მახლობელ სახლის ფარდულში. ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იმსჯელეს. მელის ვარკვევით ესმოდა სიტყვა „ინკუბატორი“. და

ისობა ეს სიტყვა: ბევრი იფიქრა, ითავსებდა და ბოლოს დაასკნა: ინკუბატორი ხაფანგია.

მელიამ კი არა, სანამ სოფელში კოლმეურნეობა და შეფრინველეობის ფერმა არ დაარსდა, გიო მინარაშვილმა და ქალებმაც არ იცოდნენ, თუ უკრებოდა, ინკუბატორით, წიწილების გამომცემა შეიძლებოდა.

საღამოთი წარბამ ყეფას მოუმატა, სინდიოფალოს გამოკოცა, მავთულის ღობეს გაღმოკვლო და ცოტა დააკლდა ჩამოვლულ მელის ზედ თავზე არ დააცხრა.

ხალხი რომ დიშალა და არემარე მიჩუბდა, შუალამე გადასული იყო. მთვარეც ჩავიდა, და ყვეფით დაღლილმა წარბამაც ჩაიძინა.

მელია ფეხაკრეფით გამოძვრა ხაფანგიდან, მავთულის ღობეს შემოუარა. კვალი კიდევ დაბლანდა და სადაც მავთულის ღობე ფართო იყო, ეწოში გადაძვრა და საქათმესთან მიცნა ცალდა.

აჟურ-ჩაუარა. კარი ყველგან ურდულით იყო ჩაკეტილი. საქათმეები პატარა მოძებზე იდგა და ძირის გამოთხრა, როგორც ძველებურ გლეხის საქათმისა, აქ არ გამოდგებოდა.

ბოლოს ერთ საქათმეს შიგნით, რომელსაც ურდულით კარგად არ ჰქონდა ჩავედებული.

უკანა თათებზე შედგა, ურდული ღრუნით აწია და საქათმის კარი თავისი ბასრი ჰეანგებით გამოსწია.


დაბარიალი თვლები და შიგ შეხტა. მარჯვნივ და მარცხნივ ვაკრა კბილი.

ქათმებმა ალიაქოთი ატეხეს. მათ სხვა ქათმებმაც მისცეს ხმა, და ისეთი კრიახი ატყდა, რომ ყურთასმენა აღარ იყო. ხმაურს წარბას ყეფა და თოფის ჰეკაც დაემატა.

მელიამ შეტყო საქმე ცუდად არისო, ვერა დედალს დაველობირი და ტყისაკენ მოკურცხლა. მავთულის ღობესთან კინაღამ მოასწრეს, მაგრამ, როგორც იქნა, თავი დააღწია.

შორს წაილა ნადაელი. გამუტა, ვაგლიჯა და შექება. შემდეგ ისევ შშრალი ბუჩქის ძირი მოძებნა, ჩაძვრა და გამაძღარმა თავი ფუჭქში არხინად ჩაღო.

მოამავალ ღამეს საქათმეზე თავდასხმის გეგმა კარგად მოიფიქრა და არხინად მიიძინა.



მაგრამ მოსვენება არ დასცალდა.
 გიო მძინარაშვილი მეძებრით კვლადავალ
 გამოსდგომოდა. გათენებული იყო, როცა წარ-
 ბა მეძებარი თბილად და მამლრად მოსვენებულ
 მელიას თავს წაადგა და გიომაც დასჭყვილა.
 გულგახეთქილი მელია წამოვიარდა სრროდან,
 გადაველო თავს ბუჩქს და გაიქცა თოვლზე.
 გიოსაც ეს უნდოდა. წამოუჩოქა, დაუმიზნა,
 და თოვმაც იჭეჭა.

მელიას ნეკნებში მოხედა ერთი მუქა სიფიანტი.
 მომაკვდავს წარბა სწედა ყელში და მკვდარი
 ჭურღი გაფუდა. მელია ჯერ კიდევ ცოცხალი
 იყო, როცა გიომ მას უკანა ფეხში ხელი მიატა-
 ნა, პაერში აიკაცა, შეატრიალა, ზურგსა და
 კუდზე ხელი გადაუსვა და ჭურჭი მოიწონა.
 შინ რომ მიიტანეს, ტყავი გააძერგეს, მარილი
 დააყარეს, ზოლო ლეში სოფლის განაპირად
 ერთ ღიდ ორმოში გადაავდეს.

გორის ჩხიძე

ნორჩ თაობას

ეოველ წელიწადს
 ახალ-ახალს
 ვუთხზავთ სიმღერას
 მის მწიურ სახელს,
 ვეველგან ნაქებს,
 ვეველგან სანატრელს!
 ეოველ წელიწადს
 მისგან ვისმენთ
 მოწოდების სმას,—
 მისი სახელი,
 ვით მზე, ვეველგან
 წვდებ, ანათებს!

ლენინის დროძს
 ჩვენ არ დავხრით,
 დროძს ცუცხლისფერს!
 ნორჩო თაობაზე,
 სმენა იუოს
 ვეველა ქვეუნიდან!
 სანამ თქტომბრის
 მზე სხივებსა
 ვეველგან არ მოფენს,—
 მოვევლით დასსმას
 მოსისსლე მტრის ბანაკებიდან.

სანდრო ეული





სკყმრობა

(იხ. ევლოშვილის გამოაქვეყნებული მოთხრობა)

— დღეს ბაზარში უნდა წავიდე, აბა, ჭკვიანად იყავით, არ იგიეთო. ვინც ჭკვიანად იქნება, სათამაშოს მოეუტან, ვინც არ იქნება ჭკვიანად ცარიელი დარჩება, — გამოაცხადა ფეფომ საუზმის შემდეგ და შეუდგა ტანისამოსის ჩაცმას.

— დედიჯან, შენ გენაცვალე, ერთი იი... დიდი ბურთი მომიტანე. — შეეხვეწა კოლა და ხელეებით ანიშნა, როგორი დიდი ბურთიც უნდა მოეტანა.

— შე, დედიკო, ერთი კაი ყაყლიყო მიყიდე, აი ასე რო ყივის ხოლმე: ყიი — ყლი — ყოო! ყიი — ყლი — ყოო! — გააჯაერა რამდენჯერმე მამალს მარიკომ და, რომ კარგად მიხვედრილიყო დედა, როგორ მამალსაც ეუბნებოდა, ამიტომ აიფხორა, თითის წვერებზე დადგა და ხელები გვერდებზე დაიტკაბუნა მამლის ფრთებზე.

— შე ვაშლები მინდა, წიითელი, წიითელი, და თეთრი ვაშლები, მომიტან, დედი? — შეეკითხა ხეყნით თვის მზრივ ყველაზე პატარა ქეთოს, რომელსაც მეტსახელად დედა ნებიერას ეძახოდა.

— ყველას აგისრულებთ თხოვნას: კოლას ბურთის მოეუტან, მარიკოს მამალს, შენ, ჩემო ნებიერავ, წითელ-წითელ და თეთრ ვაშლებს, მაგრამ თქვენც პირობა მომეცით, რომ ჭკვიანად იქნებით და არ იგიებთ!

— არა, არა, არ ვიგიებთ! — ერთხვად შესძახა ყველამ და ნიშნად იმისა, რომ მართლაც ჭკვიანად იქნებოდნენ, ყველანი სავარძელზე ჩამოსხდნენ და გაჩუმდნენ.

— მამ შევიდობით, მშვიდობით, და აბა პა,



ირაკლიონ ევლოშვილი
(1873—1916)

პირობა კი არ დაარღვიეთ, — კიდევ განუმეორათ დედამ და ვასწია ბაზრისკენ.

ოთახში ერთხანს სინთუმე ჩამოეარდა. კოლა სავარძელს ზურგით ისე მიეყრდნო, თითქმის დაძინებდას აპირებდა, მარიკომ გულ-ხელი დაიკრიბა და მოწიწებით მიაშტერა თვალები კედლის ერთ ადგილს, მხოლოდ ნებიერამ ვერ მოასვენა ფეხები და ხან ერთს აიქნევდა მაღლა, ხან მეორეს.

— შენ, ეი, ნებიერ, ჭკვიანად იყავ, თორემ დედა ვაშლებს აღარ მოგიტანს, — დაარიგა დინჯად კოლამ.

— შე კი ჭკვიანდა ვარ და თქვენ როგორც გსურდეთ, ისე იგიეთო, — ჩაილაპარაკა მარიკომაც და სიჭკვიანის ნიშნად კისერი ისე გადახარა გვერდზე, რომ თითქმის მხარს დაახინა თავი.

— ერთი, ორი, სამი, ხუთი, ოთხი, რვა... — თელიდა ნებიერა და აბარტყუნება ფეხებს სავარძელზე.

— ქვიანად-მეთქი, არ გესმის? — ახლა კი ცოტა შეუტია კოლამ ნებიერას.

— რა გაუგონარია, ღმერთო, არავის სიტყვა არ ესმის! — წააქეზა ეშმაკურად მარიკომ გაგული-სებული კოლა.

— ერთი, სამი, რვა, — აღარ იშლიდა მინც თავისას ნებიერა და სავარძელზე ფეხების ბარტყუ-ნით თელიდა წარამარა.

— გაჩუმი-მეთქი, ნებიერ! — დაუყვირა გულ-მოსულმა კოლამ, გადმოხტა სავარძლიდან და ისეთი შეანძრია ნებიერა, რომ იმან ძირს ტყავა-ნი მოიღო და ღრილილი მორათო.

— რათ ატირე, შა, რათ? მოიცა, დედას ვუთ-ხრა, მოიცა, ერთი, დედა მოვიდეს... — მიქეო-შავა ახლა-კი მარიკო ნებიერას, ჩამოვიდა სავარ-ძლიდან და აღერსით ააყენა.

ნებიერა მინც არ ცხრება, ის უფრო უმა-ტებს ტირილს.

— სუ, გენაცვალე, სუ, ნებიერ, ნუ ტირი, მე ისე გეუბრე, — მოუაღერსა კოლამ, რადგან იგრმნო თავისი დანაშაული და რამდენჯერმე გადაკოცნა დაიკო.

ნებიერა მინც სლუსსლუსებდა.

— იცი, კოლა, მოდი ცოტა მურაბა ვაჭამოთ, შა, ნებიერას! დაწმენება, ცოტა, ძალიან ცოტა...

— მერე, დედა ხომ... — აღარ დაათვა კოლამ და ყოყმანით თავი მოიხუნა.

— დედას ვუთხრათ ნებიერას უნდოდათქო, შოო, ხომ გინდა მურაბა, ნებიერ, შა, ხომ გინ-და? — შეეკითხა ცბიერად მარიკო მტირალა ნე-ბიერას.

— მულაბა მინდაა... — უპასუხა ტირილითვე ნებიერამ და თან ცრემლების წმენდა დაიწყო ხელით, რომ კარგად დაენახა, მართლა მურაბას სთავაზობდნენ თუ არა.

— მე ვერ აწვევდები თაროს, ღმერთმანი, თორემ ჩამოვიღებდი; გუშინაც, გუშინაც მივდეგი სკამი, მაგრამ ვერ შეგწვდი, — მოიჩივლა მარიკომ, თით-ქოს ამით ეუბნებოდა კოლას, რომ მას ჩამოვლო მურაბა თაროდან.

— მე კი არ ვიცი, რომ შენ ვერ შესწვდები. აბა, შენ როგორ შეწვდები, აი რამდენით დაბა-ლი ხარ ჩემზე, — მიეტოლა მხრით კოლა მარი-

კოს. მათ გვერდზე ნებიერა ამოუდგა და ფრჩხილებზე შედგამით ცდილობდა კრეტაქრადე-ლი გამოჩენილიყო, ვიდრე ნამდვილად იყო.

— აბა, მაშ შენ შესწვდი, შა, აბა შესწვდი, თუ ბიჭი ხარ! — წააქეზა კიდევ მარიკომ კოლა.

— აბა სესწვდი, შა, აბა სესწვდი, — ტიტინებ-და ნებიერაც, რომელსაც მურაბის ხსენებაზე მთლად გადაავიწყდა ტირილი და სავარძლიდან გადმოვარდა.

— აი თუ ვერ შევსწვდები, აბა ნახავ, თუ ვერ შევსწვდები, — დაიქადა კოლამ, მიიღვა თაროს-თან სკამი და ციყვივით ახტა ზედა. მარიკოსაც და ნებიერასაც ხომ სწორედ ეს უნდოდათ. ისინი თვალეზბადეცებულნი უყურებდნენ მალ-ლა და ელოდნენ, როდის გადმოიღებდა კოლა მურაბის ქილას. როგორც იყო, დასძლია კოლამ



ქილა, მშობიარია თავისკენ, წაელოთ ორივე ხელი და ფრთხილად დაუშვა პირდაპირ მაგიდაზე. ერთ წუთს ყველანი ქილის გარშემო ვაჩნდნენ. ახლა მხოლოდ თავის მოხდა-ლა უნდოდა ქილას, და მურაბა უკვე მათ ხელში იყო.

— იცი, კოლა, მოდი, სტუმრაობა ვითამა-შოთ, შა, — უჩინა მარიკომ კოლას, რომელიც გაჩქარებით უშვებდა ქილის პირზე მოხლარ-თულ ბაწარს.

— ძალიან კარგი, ვითამაშოთ, — დაეთანხმა კოლა, მაგრამ ეს წინადადება მასზე უფრო ძა-ლიან ნებიერას გაუხარდა.

— ვითამასოთ, ვითამასოთ, — ატყდა ნებიერა და თან ხავარძელზე ქანაობდა აქეთ-იქით.

— აი, მე ვითომც დედა ვარ, თქვენ ვითომც სტუმრები ბრძანდებით, ვითომ ჩემთან სტუმ-რად მომბრძანდით.

— კარგი, ძალიან კარგი, მერე? — დაეთანხმა კოლა; რომელსაც დაიას რჩევა, ცოტა არ იყოს, კუთაში მოუვიდა.



— ვითომ მე გვაბრალებით, თქვენც უსხდებით მაგიდას და მიირთმევთ მურაბას.

— კარგია, ღმერთმანი, კარგად მოიგონე, ჰა, დაგვაბრალებ, რაღა, რაღას უყურებ?!

— არა, ჯერ მოიცათ, ჯერ თქვენ გარეთ გადით, მე თქვენებს მოვაშხადებ, მერე დავიძახებთ: „მობრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით, ქალბატონებო, მურაბაზე მეწვიეთ, ხილი მიირთვით!“ — და თქვენც მოხვალთ; ჰა, გადით რაღა, გარეთ! — დაითხოვა ჯერჯერობით სტუმრები მარიკომ და თვითონ თქვენებს თვალღებებს შეუდგა.

მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, ნებიერა გაგიყვდა და არ უნდოდა მურაბის ქილის მოშორება, კოლამ, როგორც იყო, ძალისძალიად გაიყვანა გარეთ და აუხსნა, რომ სტუმრობა ასე უნდა, რომ ისინი სტუმრები იყვნენ და მარიკო კი მასპინძელი.

— მობრძანდით, ბატონებო! — გაისმა ცოტახნის შემდეგ მარიკოს ხმა. მაგრამ მას უკვე პირი საესე ჰქონდა მურაბით და სტუმრებს რიგიანად ვეღარ ებატოჯებოდა, — მობრძანდით, აი, ბატონო, თქვენ აქ დაბრძანდით, — მიუღვა სავარძელი კოლას მაგიდასთან. — თქვენც აქ, ქალბატონო ნებიერ, — მოუსვა კოლას ნებიერა გვერდზე და მე კი, აი აქ, — თვითონ მარიკო ყველაზე ახლოს მიუჯდა მურაბის ქილას.

— მიირთვით, გეთყავთ, მშვენიერი მურაბაა, საგანგებო რამეა, თქვენმა შებ.

— კალგია, კალგია... — ტიტინებდა ნეციერა და ხელი და კოვზი ერთად მიჰქონდა პირისკენ.

— დიხ, მშვენიერია, მშვენიერია, ქალბატონო მარიკო, როგორა ბრძანდებით?

— ჰე, მაგრე არ უნდა, კოლა. ეგ წელანვე უნდა გეკითხა, როცა შემოხველი, სტუმრებმა ისე იციან. ჯერ პირველად მოიკითხავენ ხოლმე და მერე მურაბას ჰამენ.

— ჰამენ კი არა, მიირთმევენ-თქო, — გაუწორა კოლამაც შეტომა თავის მხრივ.

— მიილთმევენ, მიილთმევენ, — ტიტინებს ნეციერა და იმდენს პირში არ იღებს მურაბას, რამდენსაც ნიკაპსა და ცხვირზე ისვამს.

ცოტა ხნის შემდეგ სამივენი გააუშდენ, ოთახში მხოლოდ ტუჩების წაკაპწუკი და კოვზ-თევზის წაკარუნელი ისმოდა. ხანდახან რომელიმე სტუმართაგანი ან თვით მასპინძელი მძიმედ ამოისუნთქავდა ხოლმე, მოითქვამდა სულს, რომ ხელმეორედ შესდგომოდა თავის საქმეს. მურაბის ქილა კი ნელნელა იწყვედა ძირს.

— მიაუ, მიაუ! — შემოეხზაურათ ამ დროს კატუნაც კარებიდან და აღარ დააცადა მასპინძლის მიპატოეებას; ის თავისით ახტა მაგიდაზე.

— მიირთვი, ეკატერინე, ქალო, მიირთვი მურაბა, — შესთავაზა კოვზით მურაბა მარიკომ, მაგრამ სტუმარს არ მოეწონა, სუფრას თვალები მიმოავლო უწყაყოფილოდ და პირი გვერდზე მიიბრუნა.

სად იყო და სად არა, კოლას გვერდზე კულ-

ჭიკინა პაწია ძალიერ განჩნდა. მან ცხვირი მალ-
ლა ასწია, კული აქეთ-იქით გადავად-ვადმოავლო
და, რადგანაც არც მისი სასუნსლაფი აღმოჩნდა
სუფრაზე, უკმაყოფილოდ შეხვდა კოლას.

— მიირთვიტ, ბატონებო, მიწუნებტ სუფრას
თუ რა არის? — სთავაზობდა მარიკო-ახლად შესწ-
რებულ სტუმრებს და მათერ გაშვერილ მურა-
ბით საესე კოვხს თავის პირისკერ ამბრუნებდა.

— მიილოთიტ, მიილოთიტ, გენაცვატ, — შესთავა-
ზა ნებიერამაც კატა-ქალბატონს და მურაბიანი
ცხვირი წაუსვა გაწითლებულ ცხვირზე. კატა-
ქალბატონი უკმაყოფილოდ დაიღმიჭა, ენით
მიილოკ-მიილოკა ტუჩები და შემდეგ ფეხებით
ულვაშების წმენდა დაიწყო. მაგრამ მისი თეთ-
რი ლოყები მურაბით წითლად შეიღება, და
თათები ულვაშებზე ეწებებოდა.

მარიკა სიცილისგან კინაღამ სავარძლიდან
გაღმოვარდა, კლა ცდილობდა როგორმე პირი
გაეღებინებინა კულჭიკინასათვის, რომ მურაბა
ჩაეღვა შიგ, კულჭიკინა კი წკმუტუნებდა, ხტო-
და. იყფებოდა. ნებიერა ტაში-ტაშს ცემდა და
თავის „მიილოთის“ გაიძახოდა კაკაკივით. ამ
დროს კარებიდან ფეხის ხმა მოისმა,

— მობრძანდით, ქალბატონო დარიკო, მობრ-
ძანდით, მურაბაზე დაგვეწვიეთ, — წამოხტა მა-
რიკო სავარძლიდან და გაქანდა კარებისაკერ,
რომ თავის ღობილ დარიკოსათვის კარები გა-
ეხსნა, მაგრამ ამ დროს უკვე გაიღო კარები და
დარიკოს მაგიერ მათი დედა ფეფო შემოვიდა
ნაყიდ ნიეთებით ხელში.

— ჰეი, თქვე სამაგლებო, თქვე დაუდევარნო,
მე ვიცი თქვენი... მოიცადეთ, ერთი! — ჯავრობ-
და და იმუტრებოდა ფეფო, ნაყიდ ნიეთებით
ხელში მაგიდასთან გაჩერებული.



— მიილოთი, დედი, მულაბა, მიილოთი, — ევა-
ტივებოდა ნებიერა დედას და კაბის კალთაზე
სწევდა მას მურაბისაკერ. ნებიერა ცას ეწვოდა
სიხარულით, რომ მურაბაზე დედაც დაპატიყა.


— დახედოტ, ერთი, რა უქნიატ ამსამაგლებს, —
და გაჯავრებულმა ფეფომ ხელები გაშალა.
ნიეთები ძირს ჩამოვარდა. მარიკომ მამალს სტა-
ცა ხელი და შვირე ოთახში გაკუნტულდა. ბურ-
თით ხელში მას კოლა დაეღვენა. პირმოსერი-
ლი კატა შექანოდა საკოდავის ხმით, კულჭი-
კინა კი პირს-იწმენდა ენით და გარეთ ყრიდა
ბალისძალიდ პირში ჩაყრილ მურაბას.

— ეს რა ამბავია, თქვენი ჰირიმიე! — იმეორებ-
და ხელებგაშლილი ფეფო და ათვალიერებ-
და არეულ-დარეულ ოთახს.

— მიილოთი, დედი, მიილოთი, სტუმლოაბა, —
ეკიდებოდა კაბის კალთაზე ნებიერა დედას
და სწევდა მაგიდასაკერ, რომ იმასაც სტუმრაო-
ბა ეთამაშნა.

იროდონ ევღოშვილი





ერთი მალე გავიზარდო,
აღარ ვიყო ბავშვი;
გავხდე, როგორც მამაჩემი,
ლონეც მქონდეს მკლავში!
ქარხანაში გავუვებოდი
დილით ადრე მუშებს,
გავშართავდი დიდს მანქანას,
ბოლს რომ მაღლა უშვებს.
შეჯობრშიაც გავიწვევდი
სიკოს, ვახტანგს, ჯიბოს,
ნახაიდი, ვინც მიიღებდა
ჩვენში პირველ ჯილდოს!

სანდრო შანშიაშვილი



თინას დღე

თინა თვალებს გაახელს—
და შჩის გაეცინება.
შვილი ღხენით აღგება,
აღარ დაეძინება.
ნელა იცვამს ტანსაცმელს,
ჯერ სკოლა არ აჩაოებს,
შემდეგ რუსას ეწვევა,
საბანს გადააფარებს.
ხან უცინის პალიკოს
და სიმღერით ერთობა.
ხშირად ისმის იშისი
დაძახილი ეხოდან,

ხშირად გამოიქცევა,
თუმცა აღარ სცალიან,
როცა დედის აღერის
მოუნდება ძალიან.
დედას გადაეხვევა,
მერე წაცუხტულდება.
სალამოზე დაღლილი
უკვე სახლში ბრუნდება;
ივანშემებს და დაწვება,
ტკბილად დაეძინება.
სანამ დილის რიჟოაქზე
მზეს არ გაეცინება.

იასამანი.



ფსკერზე იდამიანების ზღვა.
კიდე და კიდე მოატარა
თეთრი თვალები, და წამო-
ვიდა ტყვიის სეტყვა, მაგ-
რამ რაულემიციის პირველი
ათასეულები უკვე მკვეთ-
ნენ პერეკოპის სანგრებს.

მირბიან დანარჩენი ათა-
სეულებიც... მირბის პა-
ტარა მხედარიც, მისმა რაზმ-
მა გრიგალივით გადაიარა
ზღვის ფსკერი... მათე ზალკა
უკვე ნაპირზე დგას და
ხმალს იქნევს. მამაცადა პა-
ტარა მხედარი. აი, თავდება სივანში. საცა პა-
ტარა მხედარი ამოვარდება კაეიან ნაპირზე და
ეცემა შტერს. მაგრად უჭირავს შაშხანა. დილია
შაშხანა, პატარა მხედარი, მაგრამ...

— ურააა! — მოისმა პერეკოპიდან.
უკვე ნაპირთან იწვილა ტყვიამ.
— ვაიმე!

ეს ამოძახილი არავის სმენია. ის შეწყდა ტყვი-
ასთან ერთად. წამოსკდა სისხლი გულისპირს. პა-
ტარა მეომარმა ხელი მიიკრა მკერდთან, შეჩერ-
და... რა რბილია ეს მიწა... და რა მაგრად ებ-
ლაუქება პატარა მეომარს... სულ დაბლა, დაბ-
ლა მიიწვეს მეომარი, მაინც არ გაუშვა ხელი-
დან თოფი. მუხლამდის რომ ჩაეფლო, ტანზე
მიიკრა თოფი, მარცხენა ხელი კი ისევ გულ-
თან ჰქონდა. ნელა მიეშვა მარილიან მიწაზე.

მარილიანი მიწა აკვანით დაირწა, ჩაიხუტა
პატარა მეომარი. მხოლოდ მკერდი ღია მოჩანს.
— ურააა! — მოისმა პერეკოპიდან.

— ჩვენების ხმა — გაუელვა პატარას, — მაშ
გავიძარჯვეთ? ეხ, ნეტავ შემეძლოს ადგომა! ენა-
ხაღი ფრუნჯეს... მერე დედას ვეტყვი, ფრუნჯე
ენახე-მეთქი... და წარმოუდგა შორეული დედა.

— დედიკო, დედიკო! ერთი დამანახეა შე-
ნი თავი... მწყურია, ოხ, როგორ მწყურია...
მცივა, დედიკო...

მარილის აკვანი ისევ ქანაობს. კისრამდის
ჩაითრია პატარა.

— ურააა! — ისმის პერეკოპიდან.
— ახანაგებო, რომ ვერ მოვალ პერეკოპ-
ზე? ე...ებს! — და ცრემლებმა ჩამოხანეს მარილი-
ანი სახე.

შორს, ცაზე, წამოაღდა დილა.
— ურააა! — გრილვებს პერეკოპი.
— ურააა! — შესძახა პატარამაც და...
მარილიანმა აკვანმა არტახები შეუკრა.
პერეკოპზე იდგა წითელი დილა.

4

ის იწვა მარილის აკვანში ხუთმეტ წელიწადს.
1935 წლის შემოდგომაზე ქარიშხალმა
კვლავ გარეკა სივანში.

მოხუცი მეთევზე თევზს ეძებდა სივანის ფსკერზე.
უკვე შაშხანის ლულას წააწყდა. შეიანძრია,
ვერ ამოიღო. გათხარა მიწა — შაშხანასთან იწვა
პატარა მეომარი.

იგი იწვა კისერმოღერებული, თითქოს ვილაყას
უძახისო. დაჭრილ გულთან ხელი მიედო. მკერდ-
ზე შემხმარს სისხლი. პატარა მეომარი ისე იყო,
თითქოს გულში დაწვოა. მარილს შეენახა იგი.
რა ჰქვია მას?

ვინ იცის!
ქვეშეები გუგუნებდა, მისი კუბო რომ მი-
ჰქონდათ.

კუბოს მისდევნ ბევრები თაიგულებით.
თბილი იყო შემოდგომის დღე. ქარზე ირხე-
ოდა წითელი დროშების ტყე, და ნელა დუ-
ღუნებდა სივანე. უკანასკნელ ნანას უმღერდა
შვილობილს, ხუთმეტი წელიწადი რომ ჰყავდა
ჩაკრული მარილის აკვანში.

ის იწვა კუბოში შაშხანასთან ერთად.
ბევრები ესროდნ ცრემლიან ყვავილებს.
და იქ, სადაც შემხმარიყო სისხლი, ბზი-
ნავდა წითელი დროშის ორდენი.

როდინო კორძია

1) ურა (რუს.) — ვაშა.



ექვსი ახაკი

(დასასრული 1)

მეორე დღე შვიი ორშაბათი იყო. უკვე ჩატ-ბულ-დახურული დედა ეკლესიისკენ მიეშურებოდა, ჩვენც უსურმარად ავდექით. დავლიეთ ჩაი და სკოლაში წავედით.

— ბიჭი არ გააღვიძოთ! — დავგვიბარა და წავიდა.

წავედით სკოლაში, მაგრამ აქაც რალაც არეულ-დარეულობა იყო, მალე დავითხოვეს. მოსვლის უშალ ნიკოიასთან შევედი. ის საბანწა-მოსხმული იჯდა და გულამომჯდარი ტიროდა.

— რა იყო, ბიჭო, რად ტირი? ახლა ხომ კარგად ხარ? — გულთბილად შევეკითხე. — ექიმმა თქვა ხვალ სრულიად კარგად იქნებო, — დავუმატე ვასამწენეებლად.

— არა, კარგად არ გავხდები, ჩემი მორჩენა აღარ შეიძლება! — უფრო გულამოსკვნილი ტირილით მომიგო ნიკოიამ და შემდეგი მიაშრო:

— ერთი წლის წინათ მაციებდა მთელი ზღუხული და შემოდგომა. ვაღილია დედაჩემი ჩემი მოვლით, ყველას შესჩიოდა, ყველას ეხვეწებოდა შეველას. მასმედა რალაც რალაც ნასწავლწამლებს, მაგრამ ვერაფერი მიშველა. თანდათან ღონე გამოძელია და ლოკინად ჩავვარდი.

ერთ დღეს ჩვენი საყდრის დარაჯი და თან დიაკონი პორფირე მოვიდა ჩვენსას, დედაჩემს სასიფისკვეროდ ქალაქიდან ბიძის მოტანილი ფუჭელი გამოსთხოვა, ზედაშედ ერთი ჩარჩი წითელი ღვინო. როდესაც დედა გავიდა ხულაში შემოსატანად, ახლა მე გამოძელაპარაკა, გამომკითხა, თუ რად ვწვევარ ლოკინში, და როცა დედა შემობრუნდა ფუჭელით ვატენილი პარ-

კით და სავსე მოთლით, ახლა იმას მიუბრუნდა და დიდის თავაზითა და მოფერებით დაელაპარაკა:

— ეს როგორ მოგსვლია, შე კაი ქალო, რომ ამხელა ლამაზი ბიჭი ასეთ ვაგიკირებებია? იმაზე ადვილი რა იყო, შე ადამიანო, რომ ერთხელ შემომხმინებოდი, ვეთქვა შენი მარცხი! მოიკანდი წმინდა გიორგის ხატთან, ვენაცვალე იმის მადლსა და ძლიერებას, ვათენებებდი ეკლესიაში ერთ-ორ ღამეს, მღვდელ ტიმოთეს დაწყოლობინებდი, წალს უსხურებდი და კი-კი ფეხზე დადგებოდა! რამდენი ათასი ამისთანა სასწაული მომხდარა წმ. ეკლესიის დახმარებით. მხოლოდ გულით უნდა შევედრო, მუხლი უნდა მოიკარო, ცრემლით გამოსთხოვო მოწყალება! — მერე დაუმატა პორფირემ, — აბა, ახლავე შეუდექი საშხადისს. შე ქალო, დღეს კვირამაღია, ხვალ კვირაა, მღ. ტიმოთე შწირველი იქნება და ყველაფერი უკეთესად მოეწყობა...

დედაჩემი დიაკონის წასვლის უშალ შეუდგა საშხადისს: ბაშბის ნართი აიღო, დამაზომა თავიდან ფეხებამდის, შეგრიხა რამდენიმე წვერი ძაფი ერთად, გააკეთა პატრუქი. მერე აიღო წმინდა სანთლის კოშტი, გაათბო ცეცხლზე, ჩამოქნა პატრუქის ოდენა სანთელი, ლოკვითა და ვედრებით დაკეცა და თაროზე დადო. მერე დანთო დიდი ცეცხლი კვირაზე, დააწყო კეცები, საკიდელზე ჩამოკიდა წყლით სავსე უშველებელი ქვაბი და დაიწყო ქადის საშხადისი. მამას დაუძახა სამუშაოდან და უთხრა ყველაფერი, რაც პორფირემ დაუბარა, და დაუმატა:

1) დასაწყისი იხ. ჟურ. „ოქტობ.“, № 2.

— აბა, შე კაცო, დამეხმარე, საჩქაროდ დი-
ქირე მეგრულა დედალი, პატარა თეთრი ყვინ-
ჩილა და დაკალი, წყალი მზად მაქვს და
გავბტყვნი. დღეს შაბათია, ხვალ მღვდელი იქ-
ნება მწირველი საყდარში და ბაღანას დააწყა-
ლობებს, პარაკლისისთვის ერთი-ორი თეთრი
ამაზიც ვაანხადე.

მე დავაცხობ ჭადებს, ხაჭაპურს, ამოვიღებ კინტ
ყველს. ცოტაოდენ ღვინოს, არაყს და ბინდი-
სას უნდა წავიდეთ ეკლესიაზე. დამე ვუთოთ
წმინდა ხატს, ვენაცვალე იმის მადლს და ძლიე-
რებას! პორფირე ამბობს: ათასი მაგისტანა გაუ-
კურნავს და შენ ავადმყოფსაც უშალ ფეხზე
დააყენებოს.

— რაებს ამბობ, დედაკაცო, — შეგვეყირა მა-
მამ, — რა დროს ეკლესიაზე სიარულია, ბალი
სავსეა მოსავლით! დამე რომ თავი დაეანებოთ,
ხომ მტერი სულ გავგივლიჯავს ყველაფერს, სა-
ქონელს შემოუშვებს, ამოვავადებენ ერთიანად.

— სუ, სუ, შე ურჯულო, შენი, ნუ აწყუ-
ნიებ წმ. გიორგის! შე უკვე შევეყვდრე ბაღანა,
შევეუთქვი ხლება ხატს და პარაკლისი... ახლა
ლაპარაკი აღარ შეიძლება წადი ჩქარა, რაც
გითხარი ვაკეთე, არ შევეშალოს. ხომ იცი
მეგრულა ლურჯი დედალი, პატარა ყვინჩილა
არ გავგექცეს. სახლს ბაბუას მოუყენებ, მეზობ-
ლებს შევეხეყებები ყური აქეთ ჰქონდეთ ღამით
და დღიანად აღრიანად შენც ჩამოხვალ, — მიაკო-
ლა თან დედამ გაბუტულ მამას.

ბინდისას ყველაფერი უკვე მზად იყო. ხურ-
ჯინი ჩალაგებული, კალათა სავსე ხილით, კვერ-
ცხებით, ზემოდან დაბრაწული ხაჭაპურები ეწყო.

ახლა მე ამაყენეს, თბილად გამახვილებს და
და რა არ ჩამაცემს — დედის კურტკა, წინის მკვე-
ლი ჩოხა, თავზე შალის ჩაბლახი ისე წამაყვს,
რომ თვალეზილა მიჩანდა გზის დასანახად და
აქეთ-იქით შემბღვენ დედა და მამა. მალლა გო-
რაზე დგას ჩვენი საყდარი და ძლიეძლიეობით
ამათრის. ხურჯინი, დოქი, კალათა ხომ ისეთი
ძვიმი იყო უთუოდ, რომ მამა სულ ხენეშოდა,
დედას უჩიოდა: რაზე მომკალ ამხელა კაცი, ამო-
დენა ბარგის ზიდვა ერთი ღამისათვის ვის გაუ-
გონიაო.

პორფილე დიკონი კარგა მანძილზე მოგვე-
გება. მამაჩემს ხურჯინი ჩამოართვა, დედას კა-
ლათი და ტუნძკულითა და მასლაათით გავვიძლე-
წინ. პირდაპირ ეკლესიაში შევეყვანა. იქ უკვე
ბნელოდა და დიდ შანდალში, ხატის წინ, პა-
ტარა ნაშწვი წმინდა სანთელი ოდნავ ანათებდა
ფართე ხატს. წმ. გიორგი მარტო თეთრ ცხენ-
ზე იჯდა, ხელში დიდი გრძელი შუბი ეჭირა და
დედამიწაზე ამ შუბის წვერით რალაკა უშევე-
ლებელი ეშაბი გავჰყლიტა. მუ უკვე დიდი
სიცხე მქონდა, თვალეზი მებღიტებოდა, გუნე-
ბა მერეოდა, ჩემ თვალში თითქო თეთრი ცხე-
ნი ხატიდან ვადმოფერენას აპირებდა, შავი ფრთებ-
გაშლილი ეშაბი წითელი გამოვადებული ენით
მემუქტებოდა. დავტორტმანდი, კინალამ წვაიქე-
ციო, პორფირემ საჩქაროდ დამიკავა, — ილოკყო,
ჩამომძახა, შევეყვდრე ხატს გიწყალობოს, მო-
გარჩინოსო. მერე თავის ხელით დამაჩოქა ხატის
წინ და ტრაპეზიდან საჩქაროდ ნაკურთხი წყა-
ლი გამოიტანა, მასხურა თავზე, პირზე, ცოტაც
ჩამაყლაპა, მომასულიერა და მერე დედის დახ-
მარებით ეკლესიის კედელთან გაშლილ ლო-
გინში ჩამაწვიენეს.

დედა და მამა ეახშმის სამზადისს შეუდგენ,
პორფილე ყველაფერში შეველოდა. ოხუნჯობ-
და რალაკ-რალაკებს, აცინებდა ამით, თითონაც
იცინოდა. აქებდა ღვინოს, არაყს, — შე ჭალო,
რაზე გავისუქებია ეს დედალი, ვინ იცის, ოჯა-
ხის სარჩოს სულ მავას აყრიდი პირში...

ჩამეძინა თუ ბურანში ვიყავ — არ ვიცი. ხან-
დახან მესმოდა პორფილეს სიტყვები: წახდა დრო,
წახდა. ადამიანმა ხელი აილო ხატზე, ჯვარზე.
ნათესაობა აღარავის სწამს, თავისას და სხვისას
აღარ არჩევენ. ჯოჯობნეთი გამახდებულა ცოდ-
ვილთათვის, ღმერთი განრისხებულა [და] მოვა



მორღდ მოსვლა. ცოდვილნი წავლენ მარცხნივ,
უცოდველნი მარჯვნივ.

ღედა და მამა ფეხზე იდგენ, პორფილეს ხელ-
ში ეჭირა დიდი, ღედისაგან დილას ჩამოქნილი
სანთელი და ჩემ ლოგინთან ახლო კედელზე
დახატულ ჯოჯოხეთის სურათს უჩვენებდა: აი,
ხედავთ, ეს უფროსი ეშმაკია. ხედავთ — თვალე-
ბიდან, პირიდან ცეცხლსა ყრის, ცეცხლმოკი-
ლებული ცოცხით ერეკება ცოდვილებს აღუ-
ლებულ კუბრში ჩასაყრელად...

ღედაჩემი ტიროდა, გულში ხელს იცემდა,
მამა პირჯვარს იწერდა, კვნესოდა...

უცებ გამოფიქვნილდი. თავა ტყვილით მისკდე-
ბოდა, სიცხისაგან ვიწოდი, გული მიკანკალე-
და, მეგონა ეკედები მეთქი და ზეზე წამოვბტი:
„მიშველეთ, მიშველეთ, ეკედები, წყალი მა-
სეთი!“ ეყვიროდი და ისე მომჩვენა, ვითომ
ეშმაკები, რქიანი, კუდიანი ეშმაკები დახტოდნენ,
ღედ-მამას მიერეკებოდნენ, და დავერეე მათ სა-
შველად, ხელების ქნევით, წვიღლ-წვიღლით...


პორფილეს შიშით სანთელი გაუვარდა ხელი-
დან და საშინელი სიბზვლე [მოედო საყდარს.
ახლა ჩემ კივილს ღედ-მამის კივილიც მიემატა
და მართლა ჯოჯოხეთი გაჩნდა, ყველანი ვადარ-
რეულელებით დავრბოდით, ერთმანეთს ვეძებ-
დით... თავით ფეხებამდის ოფლი გამდიოდა და
თანდათან გონებაზე მოვდიოდით, მაგრამ ეშმაკე-
ბი კი არ შტოდებოდნენ.

როდის-როდის, კვლავ სანთელი ანთო პორ-
ფილემ და გამწყრალი, განრისხებული დამეტა-
კა, წამავლო ხელი და ლოგინში ჩამავდო.

— რაი დაგემართა, შე უგუნურო, არ გინა-
ხავს ჩვენ საყდრის კედელზე რომ ეშმაკები ხა-
ტია?! არ ვაგიგონია, რომ ეგ ჯოჯოხეთის სუ-
რათია?! რად გადირიე, რად ჩაგვაშხამე ყველა-
ფერი, ფული, შენ კაცობას!

გაეჩუმიდი, ხმა ჩამიწყდა, თვალეები დავეხუტე,
მაგრამ მისაქეთია დამჩემდა ეს რალაცა უბედუ-
რებაა, გადარევა. როცა სიცხეს მომკემს, ან
თუ შემეშინდება რისამე, ასთე ავუვირდები,
დავრბი, ეტირი, ხელებს ეიქნე, ეშმაკებს ვებ-
რძვი ვითომ და მერე ძირს დავვარდები და გაე-
შეშვები.

ბევრი იკითხეს ჩვენებმა, ბევრ სხვა ხატსა და
ჯვარში შლოცეს, შემილოცეს, მთლად გადაე-
გენ ჩემ ექიმობას, მაგრამ საშველი არ მომეცა.



მერე აქეთ-იქიდან გვირჩიეს: ქალაქში წაი-
ყვანეთ ბიძასთან, იქ ათასი სხვადასხვა ექიმი და
ჯადოსანია და იქ უფრო მოარჩენენო... მაგ-
რამ, როგორც ჩანს, ჩემი საშველი არსად
არის... — და კვლავ საშინელი ტირილი ამოუშვა
ნიკოიამ: „ვიამე, ვიამე, ღედი, ღედი, სადა ხარ,
სად? მიშველე, შენ კალთას შემავარე!“

ამ დროს ლოკვიდან მოსული ბებიაჩემი
შემოვიდა ოთახში და თავისი რიხიანი ხმით შე-
მოგვძება: რა გატირებთ, ლაწირაკებო, გშოით
თუ გწყურიათო?

მაგრამ მე და ნიკოია უცებ დარცხვენილ-
ნი წამოვბტით, ცრემლები მოვწმინდეთ და
მართლა ძალზე დამშფულნი ხარბად შეუუღდექით
დიდმარხვის სამხადისის — ლობიოს, ჯონჯოლი-
სა და ბოლოკის — ქამას.

მკ. გაბაშვილი



კუნძული კოლმეურნეობა

— ყველას დაესწარი ტანის გახლა, ხიდის მოაჯირზე შევდევქი, გავეშხადე, მდინარეში ვისკუბე და ჩავიყურეყუმალე — უამბობდა გურამი ამხანაგებს. — ყვინთვა ძლიერ მეგებრებდა, მტკვარში ბანაობისას, საბანაო პარკში ბიჭები ბევრჯერ გამივირვებია. ახლაც ყვინთვით ვავსურე, წისქვილთან ამოვედი და თხმელის ფოთლებს ამოვეფარე. ჩვენები ტანს იხდიდენ და მდინარეს ჩასტკეროდენ.

— ბიჭოს, ყოჩაღ, ყოჩაღ, გურამ, — ყვიროდა ჩემი ბიძაშვილი ოთიკო. ტანგახილი ბიჭები მოუთმენლად ხტოდენ ადგილებზე, ბუნგლია კი, სასაცილოდ კულდაბრეხილი, ფეხებში ებორკებოდა, წყმუტუნებდა, ქირვეულობდა და ხანდახან შეტყუვდა კიდევც.

თხმელის ფოთლები გადაეწიე. ბიჭები მოუთმენლად ჩასტკეროდენ იმ ადგილს, სადაც ჩავიყურეყუმალე. ტალღები ტლაშუნით მიემართებოდენ, მე კი არსად ვიანდი. კარგახანმა რომ გაიარა, ოთარი ხიდზე შედგა, თითები პირში ჩაიღო და მაგრად დასტვინა, მერე ყვირილს მოჰყვა, მე კი ისევ თხმელის ძირში ჩავსტკუქდი და გვიანბე.

— გურამ! არიქა, ბიჭებო, არსად ჩანს, იხრჩობა, ალბათ! ოთარი ხიდის მოაჯირზე შეფოფხდა და მდინარეში გადახტა. ბიჭები თან გადაჰყვენ, ყვიროდენ, მდინარეში ჰყუმპალობდენ, დამტვბდენ. უკებ ბუნგლიამ ყვვა შეწყვიტა, ნაპირთან მოტუნსულდა, ფეხები წინ გაიშვირა და მდინარეში გადაეშვა, სურაობდა, ჰყუმპალობდა და განუწყვეტლივ ყვედა. მაშინ კი თხმელებიდან გამოვედი, სიხარულის ყვირინა შეი-

ქნა. ბუნგლიაც უსუნაურად წყმუტუნებდა, კულს სასაცილოდ აქიციებდა და ყვეუთ სამდურავს გამოთქვამდა, რომ შეეაშინე. თან თითქოს წყმუტუნით თავის გმირობასაც მაგონებდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბუნგლიამ ერთგულება დაჰმტკიცა. თოვლივით ჭათათა მეწვი აქვს ჩემს ბუნგლიას, მსუქანი და ბუნჩულაა, პატარობისას სიმსუქნის გამო ძლიერ დაბაჩუნობდა. ერთ საღამოს კოლმეურნეობის ეზოში ცეკვა-თამაშის დასრულების შემდეგ ჩვენი მეზობლის გვიემ მკითხა:

— გურამ, სცენაზე თუ გითამაშია, ბიჭო?
— კი, მითამაშნია, სკოლაში გავმართეთ წარმოდგენა, ქალაქში ჩვენთვის მოზარდ მასურებელთა თეატრიც არის, მე იქ ყოველთვის დავდივარ.

— კოლმეურნეობაში წარმოდგენა უნდა დადგათ, შენ გათამაშებთ, ხშირად გინახავს ასეთები, გამოდგები და ამით კოლმეურნეობასაც დაესმარები.

— კი, კი ვითამაშებ!
გამეხარდა, გვიე დიდი ბიჭია, კომკავშირელი, მას ყველაფერი შეუძლია. დაჩენებით ესხხოვე, რომ არ დაგიწყებოდა ეს საქმე და სცენაზე გამოვეყვანე. იმ ღამეს დიდხანს ვეჭიკრობდი წარმოდგენაზე და გვიან ჩამეძინა.

კვირას შედგა პირველი რეპეტიცია, მოთამაშენი ყველანი დიდები იყვნენ, მხოლოდ მე ვიყავი პატარა. პიესას ერქვა «კულაკი სოლომონა». ათი წლის მოჯამავირე სოსიას როლს მე მითამაშებდენ.

პიესაში კულაკი სოლომონა და მღვდელი ათა-

ნასე კოლექტივის მოსავალს დაწვავენ. ეს იცის, მოჯამაგირე სოსიამ. სოლომონას ეშინია სოსიამ არ გასცეს და კიდევ მოკლავს საწყალ ბიჭს. ამას გაუგებენ, გასამართლებენ და სიკვდილით დასჯას გადაწყვეტენ.

ერთ კვირაში გვიმ, გოგომ და დათუნამ ყველაფერი მოამზადეს. გივი ყველაზე მეტს დარბოდა და მეთაურობდა. აფიშები პიონერ კოლონიას დახატინეს, უჰ, რა კარგად ხატავს! დიდი რომ გაიზრდება, უთუოდ მხატვარი იქნება.

სოფელში დღეებთან დიდი ცაცხვის ხეზე მიაკრეს მშენიერი ასოებით გამობატული აფიშა, სადაც ეწერა:

„შაბათს, 29 აგვისტოს, საღამოს, კოლექტივის ეზოში გაიმართება წარმოდგენა „კულაკი სოლომონა“, მ მოქმედებად, წარმოდგენენ კოლექტივის გოგო-ბიჭები, გთხოვთ დაგვეწყოთ“.

ასეთი შინაარსის აფიშა ერთი წიკტილთან გააკრეს კიდევ და ერთიც კოლექტივის ეზო-ქიშკარზე...

მუშაობის შემდეგ მთელი სოფელი კოლექტივის ეზოში იყრიდა თავს. იყო გოგო-ბიჭების მზიარული კისკისი და სიმღერა. ხალხი ეზოში მოღზე დაწყობილ ფიცრებზე ჯდებოდა. კოლექტივის მუშაობის აივანი სცენის მაგივრობას წევდა, წინ ჩამოშვებული იყო ლურჯი ტილოს განიერი ფარდა. უკან ბიჭების ერთი ჯგუფი განუწყვეტლივ ტაშს უკრავდა, რომ მალე დაეწყოს წარმოდგენა.

მშენიერი ნათელი ღამე იყო.

გივი გამოწყობაში მშველდა. ქალაშნები და ძველი დახეული შალის შარვალი ჩამაცვს და მოჯამაგირე ბიჭივით მომართეს. ბუნგლია ჩემ გვერდით იჯდა და უკვირდა ჩემი ჩამულობა.

მესამედ რომ დაიჩუქა ზარი და ფარდა გაიხსნა, წარმოდგენის დაწყების მოლოდინში ხალხი გაინაბა, მაგრამ მოკარნახის ხმა არ ისმოდა: ჩვენი კოლექტივის მღივან ლაღოს პიესა შინ დარჩენოდა და მოსატანად გაქცეულიყო. გივი გაჯავრდა, ფარდა დაიხურა, ხალხი აიოჩაოდა.

ხანევარი საათის შემდეგ, როცა ხალხის დასაწყენარებლად ზარმა მეთავერ გაიწკარუნა, წარმოდგენა დაიწყო. პირველი მოქმედება რომ გათვდა, ტაშმა იგრაილა. მეორე მოქმედებამ უფრო დაინტერესა ხალხი. ბიჭები სოლომო-

ნას კულაკ პავლიას ადარებდენ და ხარხარებდენ გივი ვახარებული იყო.

დაიწყო მესამე მოქმედება. ხალხი სულგანა-ბული უსმენდა. სცენაზე ვითომ ტყე იყო მოწყობილი, ცაცხვის, ნაძვის და ტრიფის ტოტებით. მე, როგორც მოჯამაგირე, ტყეში ვმუშაობდი, კულაკი სოლომონა გამხეცებული მომვარდა, ნაჯახი ყუით მომიქნა და ვითომ მომკლა. მეც მიწაზე დავვარდი, როგორც მკვდარი, და არ ვინძროვდი, ხალხი ხმაგაქმენდელი უსმენდა დაინტერესებული, აჟა-იქ მიმე ამოხენე-შას გაიგონებდით.

უცებ ამ სიწყენარეში, როცა კულაკი სოლომონა ბურღღუნით სცენიდან გაიბარა, ყვეფითა და ერთი აურზაურით შემოვარდა სცენაზე ჩემი თეთრქათობა ბუნგლია, შარვალში ჩამეჭიდა და არ მეშვებოდა, ყვეფა და ჰირვეულობდა — აღმათ, მკვდარი თუ ვეგონე. ხალხში ერთი სიცილი ატყდა, კულისებიდან გივი ეძახდა:

— ბუნგლია, ბუნგლია... ჰოუ... ჰოუ...

ბუნგლია როდი ცხრებოდა, სცენიდან გასვლას არ აპირებდა. ხალხი იცინოდა. მაშინ წამოვდექი, ბუნგლიას დადემუჭრე და ისიც კულამოძუებული გაეარდა სცენიდან.

წარმოდგენა განვავრძეთ. ყველა დამშვიდდა, და კარგად დავამთავრეთ, დიდხანს ისმოდა ტაშის ცემა, ხალხი ნასამოვენები დაიშალა.



უკვე გვიან იყო. შორს, გორებთან, მუხების
იქით მთვარე ჩაღოდა და ჩრდილები წვებოდა.
გვიე არ ჯავრობდა წარმოდგენის დროს მომ-
ხდარ შემთხვევაზე, პირიქით, იცინოდა ბუნ-
ვლიას საქციელზე.

— ყოჩაღ, ბუნგლია!

ბუნგლია მზიარული იყო და წამტუნოვანი
გველერსებოდა. მე ძლიერ ვჯავრობდნენ
ჯაროდ, სკენაზე შერცხვენის და არ ვიცილი
როგორ მოექცეულიყავ.

ასე დაამთავრა გურამმა.

მსმენელი ბავშვები სიცილით იხოკებოდნენ.

დავ შამათაძე

ავთანდილ ბრძენი



იყო და არა იყო რა, ლაევარდ ცაზე მიმ-
ცურავ მთვარეზე ულამაზესი რა იქნებოდა, მზე-
ზე უფრო ნაყოფიერი რა გაჩნდებოდა და ავ-
თანდილზე უფრო გონიერი ვინ დაიბადებოდა?!

ერთ დილას ავთანდილი ადგა ალიონზე, შე-
ვიდა ბოსელში და ელდა ეცა: მისი უღელი
თვალმინაბული ხარი აღარ იწვა და ზანტად არ
იციხნებოდა.

იტკიცა თავში ხელი: ეს რა დამემართა,
ქვეყანას შეეძულეებიარ, თორემ ჩემს ნატერის
თვალს ვინ წამართმევდაო.

შევიდა სახლში და მოიკახმა.

ჩოხა-ახლოხი და მაღალყელიანი წალა ჩაი-
ცვა, ხანჯალი შემოირტყა, ქუდი დაიხურა; ბე-
ბერი მუხის ოდენა კამბალი მხარზე გაიდვა...
და გაუდგა გზას დაღვრემილი ავთანდილი.

მთელი ჩემი დღე უნდა ვიარო და ჩემი
თვალის ჩინი, ქვესკნელშიც რომ იყოს, იქედან
ამოვიყვანოვო.

იარა-იარა ავთანდილმა და მიადგა ერთ ლე-
ლეს... ქვებზე ფეხაკრფით რომ გადადიოდა,
უცბათ მოესმა პატარა თევზის ხმა:

— ავთანდილ! შენი სახელი ქვეყანაზე გა-
ვარდნილია, აგერ ბატი მომდევს, უნდა გადამ-
ყლაპოს და მიშველე, მეც იქნებ რამეში გამო-
გადგეო!

ავთანდილს გაეცინა: ამ პატარა თევზს ბა-
ტის ეშინია და მე კი დახმარებას მპირდებაო,

მარა მინც ჩაისხა წალის ყელში წყალი და
თევზიც შიგ ჩასვა.

მიდის ავთანდილი. ცოტა იარა თუ ბევრი
იარა, უეცრად მხარზე დაახტა პატარა ჩიტი და
უთხრა:— „მიშველე, ე, უყურებ, ალალი მომ-
დევს, შეჭმას მიპირებს და ნუ დამავდებ... ოდეს-
მე იქნებ მეც გამოვადგეო.“

— ყველა სუსტი რომ მე შემომიჩნდა და
თან დახმარებას მპირდება, რა უბედურება მე-
მართება, ნუთუ მართლა ასე დავძაბუნდიო?—
იფიქრა ავთანდილმა, მარა ჩიტი მინც ჩაისვა
უბეში და გაუდგა გზას...

ცოტა იარა თუ ბევრი იარა, ავთანდილი
მიადგა ერთ მდინარეს... მიდის და მიიზღაზნება
მდინარე... ჩიტი ძლივს გადიფრენს ერთი ნაპი-
რიდან მეორეზე. ზის ავთანდილი და არ იცის
რა ქნას... ასეთ მდინარეს ფონიც არ ექნებოა,—
ფიქრობს და უნუგეშობით სასოწარკვეთილმა
უნებურად წამოიძახა:

— ვაი ჩემი ცოდვა! სადაა ახლა ტარიელის
რამი, ერთი შევეძახო და ამ მდინარეს გადამე-
ლოსო!

უეცრად წალის ყელიდან ავთანდილს მოეს-
მა ხმა:

— ავთანდილ, ნურაფერს ჯავრობ, ჩამიშვი მდი-
ნარეში და მე ვიცი შენი საქმეო.

ავთანდილმა დაცინვის ღიმილით თევზი
მდინარეში ჩაუშვა, თვითონ კი დაჯდა და ისევ



თუ სადმეა, აქ იქნება ჩემი ხარგებო, — უნებურად ვაიფიქრა ავთანდილმა და კიდევ უფრო დაკვირვებით დაიწყო მიღამოს დათვლიერება. ვაიხედა... ა, ა... სადღაც შორს სინათლე ბუტავს... გასწია... სახლია... შიგ ხალხი ზის... სახეიმიად ემზადებიან.

ქალები ქვებებს ხეხავენ, კეცებს ახურებენ, ჰადს ზეღენ. ვაყვები დანებს ლესავენ; შამფურებს თლიან; კერიაზე შეშას მუგუზაღზე ურთავენ. ხარებმა ავთანდილის სუნი იკრეს და აზმუილდნ.

ავთანდილი სახლის ბოძზე მიბმულ ხარებთან მივიარდა:

— რამ მოგვიყვანათ აქ, თქვე შტერებო, შტერებო! — იგინებოდა ავთანდილი და თან ხსნიდა და თან ეაღერებოდა მათ.

— გვაპატიე, შენსა მშენსა, რაღაც ბუზნაკალა იყო, შეგვიკადა, მერე ჰინკები დაგვესია, ჩვენც ავიწყვიტეთ, გამოვიქვანეთ და აქ კი ამ ხალხმა დაგვიჭირა და ახლა შექმსასეც კი გვიპირებენო! — ქვითინებდნ ხარები.

— არც ბუზნაკალა ყოფილა და არც ჰინკა — დაიწრობინა თრითინამ... შენ რომ კაკალს რეკდი და ჰოკით შეიღებე და მიხოცე, ვანა მეც გადახდა არ ვიცი... ჯერ შერია და სიმინდი ჩაუყარე ბაგაში, მერე მარტილი მიუვგორე. რომ გახურდნ და ატყლენ, კენჭი და კაკალი დაუშინე ნიჩქეში, თანაც ხან ზურგზე გადავურბენდი, ხან ჰინზე მოვფხაპნიდი და გადირინეო; როცა აიწყვიტეს და გაიქცენ, სულ გზადაგზა მივდედი და ვაფეთებდითო...

სახლში კი თან ვახშმის მარაგში იყვნენ და თან მუსაიფობდნ. ერთი თავიღა ბიჭი და ცინვით ამზობდა:

— ჰქუიანი კაცი ყოფილა ეს ვილაყ ავთანდილია: შეუტყვია, რომ ჩვენ გასუქებული ხარის ხორცი მოგვეწონს და მოუვლია კიდევ ნამუსიანად — არც ქერი დაუკლია და არც მარტილი სალოკადო.

დედბებრმა უპასუხა:

— ავთანდილი ვილაყა კი არ არის, მართლაც ძალიან ჰქუიანია და მოხერხებული და მისი ხარები არ ჩაგვმწარდესო.

— მისმა მუშემ, ბევრს რამეს დაგვაცლებსო, — ჩაურთო ახალგაზრდა გოგონამ.

— ხახეს ჩამაქრის კისერშიო, — დაიტრაბახა ბიჭმა.

— ამდენს უთაქებთ, ნახევარს ვერ დაითელიო, — გაათამაშა ოჯახის უფროსმა თავისიანები.

ამ დროს შეიღო კარი ავთანდილმა და მამინვე კუთხეში მიყუდებულ იარალს მივიარდა.

— აბა ვინ ხარ ვეცაკიო! — დაიღრიალა ავთანდილმა თავისებურად.

ვაი ამ დღის მომსწრეს! ვინ სუფრის ქვეშ შეძვრა, ვინ გიყვივით დარბოდა ოთანში. ვინ კისრისტეხით ვარბოდა ვარეთ.

ავთანდილმა მიღევ-მოღევნა იქაურობა, მოგლიჯა ჰინკარი და ხარები წინ გაპირიქია.

მგონი იმ დღიდან იყო, რომ ავთანდილი დადინჯდა და ბრძენის სახელიც გაითქვა.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ჰატო იქა, ფქვილი აქა.

პაპარაკი მუსიკოსი

(მოცარტის¹ ცხოვრებიდან)

ვოლფგანგი სამი წლისაა, მისი და ნანუკი—შვიდისა. ერთსელ მამამ უთხრა თავის გოგონას:

— ნანუ, მე შენ მუსიკის გაკეთილი უნდა მოკცე.

— მეც, მამილო, მეც!—სთხოვდა ვოლფგანგი მამას.

— შენც, ზაწაწინავე?—სიცილით უხასუსუნა მამამ.—შენ ძალიან ზატარა ხარ. წადი და როიალის ქვეშ ისეირნე,—სიცილითვე დაუმატა მან.

საღამოს მამა გასეთს კითხულობდა; კვირდით ოთახიდან როიალის ხმა მოესმა.

— ნანუ უკრავს როიალს?—გაიფიქრა მან და იმ ოთახში შევიდა. ზაწაწინა ვოლფგანგი იჯდა როიალთან და უშეცთომოდ უკრავდა იმას, რაც მამამ იმ დღით ნანუს აუხსნა.

ორი წელი გავიდა. ზატარა ვოლფგანგი თხსავს თავის საკუთარ მულოდიებს, იწერს მათ, სის როიალთან; მის წინ ნოტის ქაღალდი ძეგს. მან დასვა წერტილი მუღნით სწვებსე მადლა. მუღანია ქაღალდსე, მუღანია კლაფიშებსე,

თითებსე და სახესე... მაგრამ ზატარა კომპოზიტორი მაინც წერს ზიესას ფორტოპიანოსათვის. იგი ჯერ მხოლოდ 5 წლისაა.

მამამისი ღარბია. სასლში ფული აღარ ზრის. ვოლფგანგს ესმის ვეკლაფერი ეს. მიღის მამასთან.

— მამა, მე შემიძლია ფული ვაშოგნო,—უთხრა ზაწიამ თავის მამას.

— როგორ შეგიძლია შენ ფული იშოვნო, მე ზაწაწინავე?—ღიმილით შეკითხა მამა.

— მე მინდა როიალი დაუკრა, გაიკრე?—აქვა ზატარამ, სკამი როიალთან დადვა და დაუკრა. მამა განცვიფრდა. ეს მისი ვაჟია?! ის ხომ მხოლოდ 6 წლისაა!!

მამა ვოლფგანგთან ერთად ვენაში¹) გაემკსავრა. ზაწაწინა არტისტი მადეცნობილი გახდა. ოჯახი შიშმილსა და გაჭირვებას აღარ განიცდიდა.

12 წლის მოცარტი ერთერთ ორკესტრს დირიჟორობდა, ხოლო 15 წლისამ თავისი ზირველი ოპერა დაწერა.

თარგმნილი გერმანულიდან


ან. აშაქიძის მიერ.

¹ ვოლფგანგ მოცარტი იყო გამაგნენილი გერმანელი კომპოზიტორი; დაიბადა 1756 წელს, გარდაიცვალა 1791 წ. და წერილი აქვს მდგომარეობა.

² ვენატრის მთავარი ქალაქია.

ერთხელ საინტერესო სურათს წააწყდა ერთი მოგზაური. ამბავი ეგვიპტეში მოხდა. ეგვიპტელი ბავშვები ბურთს თამაშობდნენ...

— მერე რა არის აქ საინტერესო? — იკითხა ერთქვენი.



ის, რომ ის ბურთი ნამდვილი ბურთი კარა იყო, არამედ თევზი.

— თევზი?

— ჰო, თევზი, რომელსაც შევიძლია ბურთ-

თევზა ვუწოდოთ, ეგვიპტეში კი ფხაკას ეძახიან. ამა დახედეთ სურათს — წინიდან სრულიად არ ჰგავს თევზს. მას ისეთივე ეკლები აქვს, როგორც ზღარბს, მაგრამ ეკლები დაკეცილი აქვს. როდესაც რაიმე საშიშროება მოეცის, იმდენ ჰაერს ჩაყლაპავს, რომ ბურთითივე გაიბერება, გულაღმა ატივტვდება, ეკლებს გაშლის და მაშინ მტერი ვერაფერს უხერხებს. მისი ხორცი ხან იკუმბა, უვნებელია, ხან კი შხამიანია. ამიტომაც არ ჰამენ ამ თევზს. როდესაც მტერი მოშორდება, ფხაკა ჩაყლაპულ ჰაერს ლაყუჭბიდან გამოუშვებს და ისევ ძველებურ სახეს მიიღებს.

ფხაკას საშინელი კბილები აქვს — მათულსაც კი ჭრის თავისი ოთხი კბილით. მტრისაგან თავის დასაცავად ხევა საშუალებაც აქვს: ერთგვარ წითელ სითხეს გამოუშვებს და მაშინ მტერი ვერ ეყარება.

ხომ არ გინდათ, ბავშვებო, თქვენც იბურთათ და ბურთად ეს გქონდეთ? იქნება გინდათ, მაგრამ რას იზამ: ეს თევზი ჩვენში არ არის.

შ. თაბ-ლი



შეიძლება თუ არა ჯინჯირიან ვანისამოსის შუპკა?

ჯინჯირის ტანისამოსი.. ნუთუ მართლა შეიძლება? შეიძლება, შეიძლება. მაგრამ ყოველგვარი ჯინჯირი კი არ ვარა. არის ერთგვარი ჯინჯირი, რომელსაც რამი ჰქვია. აი იმ ჯინჯირიდან მზადდება მშვენიერი, აბრეშუმის მსგავსი ქსოვილები.

— კი, მაგრამ ხომ უცებ დაიხვევა ასეთი ტანისამოსი? — ეს კითხვა მართლა საინტერესოა.

— არა, ბავშვებო, პირიქით: რამის ქსოვილი ძალიან მაგარია, დიდხანს ძლებს.

აღბათ, ისიც გაინტერესებთ, თუ სად იზრდება რამი. ესეც გავიგოთ.

ჩვეულებრივი ჯინჯირი ყველგან იზრდება — საქართველოშიც, სადაც თბილა, ჩრდილოეთშიც, რუსეთში — სადაც დიდი სიცივეები იცის.

რამი კი ვერ ვეგუება სიცივეს, მას სითბო უყვარს და ამიტომ მხოლოდ თბილ ადგილებში ხარობს.

— საქართველოშიც იზრდება? — იკითხა ერთქვენი.

— როგორ არა. მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც ჩინეთიდან შემოიტანეს. საშკოთა ხელი-სუფლება ძალიან ზრუნავს რამის გაშენებაზე, წინათ კი მას არავინ არ აქცედა ყურადღებას.

რამი ძალიან სწრაფად იზრდება. ზაფხულის განმავლობაში ორი მეტრის სიმაღლე ხდება. გარეგნულად სულ ზენ ჯინჯირს ჰგავს, ვერც კი გამოარჩევ. შემოდგომაზე მოჭრიან, გააშრობენ, მოხარშავენ და გადაამუშავებენ. მაშინ ეს ჯინჯირი, რამი, რომელიც საამურად ბიზინგდა

ქარის შემოქროლვაზე, მშენიერ ქსოვილად გა-
ლაქცევა.

**თუ ვაჟაბაი ხარ, მიგაჩანდი და მოგერი ეს
ხე უხელთათმანოდ!**

ბათომის ბოტანიკურ ბაღში ათასნაირი ხე და
მცენარეა. ძალიან საინტერესო სანახაურია ეს
ბაღი.

ერთხელ იმ ბაღში ვიყავით. ჩემთან იყო პიო-
ნერი კოლა. ერთ ხეს იქ „ლაქის ხე“ ჰქვია.
კოლა გააკვირა ამ სახელმა.

— როგორ თუ ლაქის ხე? რათ დაურქმე-
ვათ ეს სახელი?

— იმიტომ, რომ ამ ხის წვენიდან კეთდება
ხის ლაქი. ხომ იცი, დურგლები რომ შვანს,
ბუფეტს წალსემინ ხოლმე ლაქს, აი ის ლაქი ამ
ხის წვენი. იატაკის სანთელსაც ამისაგან აკე-
თებენ. მაგრამ, თუ ბიჭი ხარ, სინჯე და უხელ-
თათმანოდ მიგეკარე ამ ხეს!

კოლამ გაოცებით შემომხედა.

— ხელთათმანი რად მინდა? რატომაც ვერ

მიგეკარები! — და კიდევ გადადგა ნაბიჯი, მაგ-
რამ მე შევეჩერე.

კოლა, კი არ გეტუმრები. ლაქის ხე ძალიან
შხამიანია. თუ მისი წვენი მოგეცხო, დაგწვავს,
მუწუკებს გაგიჩენს და შეიძლება რამდენიმე კვი-
რით ჩავაწვინოს ლოგინში. რომ შეეკითხებიან
შენ შშობლებს — რა სკიპის ამ ბავშვსო, იმათ უნ-
და უპ.სლხონ: „ლაქის ავადმყოფობა“ დაემარ-
თაო.

მუშებმა უნდა დასერონ ლაქის ხეების ტანი
და წვენი მოაგროვონ. როგორ უნდა მოიქცენ?
ისინი იცემენ სპეციალურ ტანისამოსს, რო-
გორც ჯარისკაცები გაზეთით ომის დროს, ხელ-
თათმანსაც იცემენ და მხოლოდ შემდეგ მიდიან
ამ ხეებთან. არათუ წვენი, ამ ხის ანაორთქლიც
კი შხამიანი, და სადაც ამ ხეების ტყეა, იქ
ხშირად ხდებიან ავად „ლაქის ავადმყოფობით“.
ეს ხე იაპონიიდან ჩამოიტანეს ჩვენში.

კოლა გაოცებული უცქერდა უცნაურ ხეს.

წ. თ.

სიხრუის მსხვერპლი

(იგავი)



ერთი ბიჭი ტყეს აჟავდა. ცეცხლი
ენტო და მოკრილ ხეებსა და დაჩხილ
ჯაგებს წვავდა. იქვე ტყის მეორე მხა-
რეზე გლეხები მინდორსა ხნავდნენ. ბიჭმა
იფიქრა: „მოდო, ერთი, ის გლეხები მოვა-
ლოროო!“ — და ხმამაღლა დაიყვირა:

— დავიწვი! დავიწვი!

გლეხებმა მსწრაფლ მიატოვეს ხარ-კავი
და საშველად გაიქცენ. ნახეს, — ბიჭი ხეს
ჭრიდა და იცინოდა.

გლეხები უკან დაბრუნდნენ.

ცოტახანი გავიდა.

ბიჭმა კიდევ დაიყვირა:

— დავიწვი! დავიწვი!

გლეხებმა კვლავ მიაშურეს. ბიჭი კვლავ
ხეებს ყრიდა ცეცხლში და წვავდა.

გლეხები ბუტბუტით ისევ უკან დაბ-
რუნდნენ.

ხანი გამოხდა. მუშაობის დროს ბიჭს
ტანსაცმელზე ცეცხლი შემოენთო და
იწოდა. მორთო ხმამაღალი ღრიალი:

— მიშველეთ, მიშველეთ! დავიწვი,
დავიწვიო!

გლეხებმა იქიდან დაუძახეს:

— გეყოფა, შვილოსა, ახლა კი ვეღარ
მოგვატყუებო!

გ. ლომთათიძე

რა არ არის სწორად, რა აკლიათ, ან რა აქვთ
 ზედმეტი ამ ნახევარს?

